

ფინანსური ანგარიშგება
შპს “მწვანე ოფისი”-ს/კ (404876899)

საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2024წ.-31.12.2024წ.

ანგარიშის შედგენის თარიღი: 10.09.2025წ

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მწვანე ოფისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში მარჯანიშვილის ქ. N6-ში. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემა

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები. კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 28 ოქტომბერს 2022 12 აპრილიდან 66 % წილის მფლობელი ხდება საქართველოს მოქალაქე ქართლოს დიასამიძე (პ/ნ 01006009468 ხოლო 2022 წლის 30 სექტემბრიდან 44% წილის მფლობელი ხდება საქართველოს მოქალაქე ნუგზარ სარალიძე (პ/ნ 18001010744) დღეის მდგომარეობით კომპანიის მომქმედი დირექტორია დავით მინდიაშვილი

შპს „მწვანე ოფისი“-ს მიერ წარმოდგენილი 2024 წლის სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“-ები), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ბასს“-ები) შესაბამისად და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით, ყველა არსებით ასპექტში. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში - 2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო იპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულია თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის წარდგენისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

შპს -მწვანე ოფისის დირექტორი

-დავით მინდიაშვილი



ფინანსური ანგარიშის შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობა
/ბალანსი/4
2. საქმიანობის შედეგები /მოგებისა და ზარალს ანგარიშება/5
3. ფულად სახსრების მოძრაობის ანგარიშება6
4. საკუთარი კაპიტალს ცვლდებების ანგარიშება6
5. ფინანსურ ანგარიშებაში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი
შენიშვნები7

შპს „მწვანე ოფისის“-ს დირექტორი
დავით მინდიაშვილი



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა /ბალანსი/8861

	12/31/2024	12/31/2023
	საანგარიშგებოპერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებოპერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	12726	3136
სავაჭრო მოთხოვნები	195931	131145
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		11947
მარაგები	7826	7775
- შპს პროდუქცია		
- სხვა	7826	7775
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები	748	880
ძირითადი საშუალებები	5687793	5759796
5833247 ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	5905024	5902732
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	19657	16602
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	12512	24184
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	6119348	6205367
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	36712	
სულ ვალდებულებები	6188229	6249153
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	4345877	4132826
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-4629082	-4476247
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		

სულ საკუთარი კაპიტალი	-283205	-343421
5902732	5905024	5987574

დირექტორი დავით მინდიაშვილი

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები /მოგება-ზარალის ანგარიშგება/

	12/31/2024	12/31/2023
	საანგარიშგებოპერიოდ	
ნეტო ამონაგები	1052229	1103678
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	1051756	1103678
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	473	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2274	-6208
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა		
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	1049955	1097470
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-157625	-165045
ცვეთა და ამორტიზაცია	-72135	-74793
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	-488587	-487459
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-225377	-227795
სულ საოპერაციო ხარჯები	-943724	-955092
საოპერაციო მოგება	106231	142378
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (გაუფასურება)		
მარაგები (გაუფასურება)		
სხვა არაფინანსური აქტივები (გაუფასურება)		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-259066	39574
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-152835	181952
მოგების გადასახადი		-35
მოგება/(ზარალი)	-152835	181917
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		

სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მილიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-152835	895960
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-343421	-767510
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-200
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	213051	242372
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-283205	-343421

დირექტორი

დავით მინდიაშვილი

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	12/31/2024	12/31/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადი	1229071	1241461
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	348051	242372
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-1544006	-1523480
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	33116	-39647
ავალუტო კურსის ეფექტი	-23526	-1330
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	3136	44113
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	12726	3136

ფორმა N4 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
	ი	

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

4132826

-4476247

-343421

პერიოდის 01.01.2024.-31.12.2024 მოგება/ზარალი

181 სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

-152835

-152835

-კაპიტალის ზრდა წმინდა მოგებით

4132826

-4629082

-496256

კაპიტალის სხვა ცვლილებები ზრდა/შემცირება

213051

0

213051

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

4345877

-4629082

-283205

დირექტორი:

დავით მინდიაშვილი



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც

განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოიცავს 2024 კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსი	
	2024 წლის ბოლოს	2023 წლის ბოლოს
1 აშშ დოლარი /USD/	2,8068	2,6894
1 ევრო /EUR/	2.9306	2,9753

4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვის ობიექტია

განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით - თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ბალანსში აღრიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საზოგადოება იყენებს ცვეთის დარიცხვის წრივ მეთოდს

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შემენილ ლიცენზიებს (მათ შორის შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით შესაბამისი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ცხრილი

2023						
ჯგუფი	I	II	III	IV	V	სულ
წინა წლის ბოლოს საბალანსო ღირებულება	105847	3027	787910	5495928	22587	6415299
წინა წელს დარიცხული ამორტიზაცია	104879	2637	665484	1771102	17903	2562018
დამატებული ძს					1186	1186
რეალიზებული ძს						
წლის ბოლოს ნარჩენი ღირებულება						
ამორტიზაციის ნორმა-ვიცენებთ წრფივ მეთოდს						
დარიცხული ამორტიზაცია	215	167	18268	54959	1183	74793
20224						
ჯგუფი	I	II	III	IV	V	სულ
წინა წლის ბოლოს საბალანსო ღირებულება	105847	3027	787910	5495928	23773	6416485
წინა წელს დარიცხული ამორტიზაცია	105094	2804	683762	1826061	19086	2636808
დამატებული ძს						
რეალიზებული ძს		1019			1623	2642
წლის ბოლოს ნარჩენი ღირებულება						
ამორტიზაციის ნორმა-ვიცენებთ წრფივ მეთოდს						
დარიცხული ამორტიზაცია	215	167	16068	54959	725	72134

6. ამონაგების აღიარება

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის არა საცხოვრებელი ფართის იჟარით გაცემა-, ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით, კერძოდ მომსახურების რეალიზაციის საფუძველზე, ამონაგების ფორმირება ხდება მომსახურების გაწევის მიხედვით ყოველი დასრულებული თვის მონაცემებზე დაყრდნობით.

შემოსავლის ცხრილი

ლარი	2024	2023
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1051757	1103678
სხვა	473	39574

7. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ხარჯების ცხრილი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

12/31/2024		12/31/2023	
N°	დასახელება	საანგარიშგებო პერიოდ	წინა საანგარიშგებო პერიოდ
1	კომუნალური ხარჯი	134269	144930
2	დასყვთავეების ხ*ჯი	8576	7257
3			0
4	კომუნიკაციის ხ-ჯი	2167	2066
5	დაზღვევა	13027	12580
6	ძირითადი საშ-ების ექსპლოატაციისა და შენახვის ხ-ჯი	255	3869
7	შრომის უსაფრთხოების		2746
8	საგადასახადო ხ-ჯი	37818	38936
9	ბანკის მომსახურების	703	727
10	ლიფტის მომსახ	1920	1920
11	უსაფრთხოების	2746	
12	სავალდებულო საპენსიო ხარჯი	1649	1296

13	სხვა	22246	10840
სულ		225377	227796

8. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თაზნით რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს.

კომპანიის მარაგები მოიცავს იმ მარაგებს, რაც საჭიროა კომპანიის მუშაობისთვის.

დასახელება	2024	2023
სამეურნეო საქონელი	7826	7775
<u>სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები</u>	<u>7826</u>	<u>7775</u>

10. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თაზნები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან -----

დასახელება	2024	2023
------------	------	------

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	195931	131145
<u>სულ სავაჭრო მოთხოვნები</u>	<u>195931</u>	<u>131145</u>

11. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან და აერთიანებს საქონლის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს.

დასახელება	2024	2023
საქონლის მიწოდებიდან და მომსახურ. წარმოქმნ. ვალდებულება	19657	16602
<u>სულ სავაჭრო ვალდებულება</u>	<u>19657</u>	<u>16602</u>

12. დამატებული ღირებულების გადასახადი

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

13. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არა კონტრაქტული ვალდებულება.

14. ფულადი სახსრები

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს:

ს.ს. თიბისი ბანკში, ს.ს. საქართველოს ბანკში

დასახელება	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე	12726	3136

15. ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

გარემოს დაცვის საკითხები. საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრეფს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

შპს „მწვანე ოფისის „-დირექტორი

დავით მინდიაშვილი 

